

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ანდრია რაჭმადის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი

დირექტორის ბრძანება № 1

12 ოქტომბერი, 2017 წ.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ანდრია რაჭმადის სახელობის
მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების
დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 29¹ მუხლის მე-4 პუნქტის,
„საჯარო სამართლის იურიდიული პირის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა
და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 23³
მუხლის მე-4 პუნქტის, თსუ ანდრია რაჭმადის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის
დებულების მე-6 მუხლის მე-7 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, მე-7 მუხლის პირველი პუნქტისა და
თსუ ანდრია რაჭმადის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2017 წლის
11 ოქტომბრის სხდომის ოქმი № 6-ის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ანდრია რაჭმადის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის შემდეგი
სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები:

ა) ალგებრის განყოფილების ხელმძღვანელი (5 წლის ვადით) - მთავარი მეცნიერი
თანამშრომელი (უვადო) - ხვედრი ინასარიძე;

ბ) მათემატიკური ლოგიკის განყოფილების ხელმძღვანელი (5 წლის ვადით) - მთავარი
მეცნიერი თანამშრომელი (10 წლის ვადით) - მამუკა ჯიბლაძე;

გ) გეომეტრია-ტოპოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი (5 წლის ვადით) - მთავარი
მეცნიერი თანამშრომელი (უვადო) - თორნიკე ქაღივილი;

დ) მათემატიკური ანალიზის განყოფილების ხელმძღვანელი (5 წლის ვადით) -
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (უვადო) - ვახტანგ კოკილაშვილი;

ე) დიფერენციალური განტოლებების განყოფილების ხელმძღვანელი (5 წლის ვადით)
- მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (უვადო) - ივანე კილურაძე;

ვ) მათემატიკური ფიზიკის განყოფილების ხელმძღვანელი (5 წლის ვადით) - მთავარი
მეცნიერი თანამშრომელი (უვადო) - როლანდ დუდუჩავა;

ზ) დრეკადობის მათემატიკური თეორიის განყოფილების ხელმძღვანელი (5 წლის
ვადით) - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (10 წლის ვადით) - ნუგზარ შავლაყაძე;

თ) თეორიული ფიზიკის განყოფილების ხელმძღვანელი (5 წლის ვადით) - მთავარი
მეცნიერი თანამშრომელი (10 წლის ვადით) - მერაბ ელიაშვილი;

ი) ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის განყოფილების
ხელმძღვანელი (5 წლის ვადით) - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (10 წლის ვადით) -
მიხეილ მანია.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ნინო ფარცვანია